WOSCAP

ENHANCING EU PEACEBUILDING CAPABILITIES



კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით

WOSCAP

ENHANCING EU PEACEBUILDING CAPABILITIES

პროექტის - კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით (WOSCAP) – (კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე) მიზანია გაზარდოს ევროკავშირის მონაწილეობა კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის განხორციელების პროცესში ყოვლისმომცველი და ინოვაციური სამოქალაქო საშუალებების გამოყენებით.

პროექტი აფასებს კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის შესაძლებლობებს და ასევე, განსაზღვრავს არსებულ გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკებს, გაკვეთილებს და მომავალ კვლევით პრიორიტეტებს. პროექტის ფარგლებში მოქმედი პოლიტიკოსების, სამხედრო სფეროს პრაქტიკოსების, აკადემიური და საექსპერტო წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამით მოსარგებლეთა ერთად თავმოყრის მიზნით გამოიყენება ჩართულობაზე ორიენტირებული მოდელები - სამოქალაქო დიალოგი, ფორუმები და სხვა. შედეგად, პოლიტიკის პრიორიტეტებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ შემუშავდება სპეციალური რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც საჭიროა კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის განხორციელების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ეფექტიანობის გასაზრდელად.

პროექტის ძირითადი მიზნებია:

შეფასება
ევროკავშირისა და მისი პარტნიორების მიერ დღემდე კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში გამოყენებული ინიციატივების შეფასება.

რეკომენდირება
კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის არსებული შესაძლებლობების, პოლიტიკის კურსისა და ინიციატივების შევსება და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგება ჩართულობაზე ორიენტირებული პოლიტიკის, დიალოგისა და პოლიტიკის რეკომენდაციების განვითარების გზით

გაანალიზება
კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში საუკეთესო პრაქტიკების, აპრობრებულ მაგალითებზე შესაბამისი მონაცემებისა და მტკიცებულებების შექმნა, ევროკავშირისა და მისი პარტნიორების ამ მიმართულებით ჩართულობაში არსებული გარღვევების განსაზღვრა; გრძელვადიანი სამოქალაქო მშვიდობის მშენებლობის ძალისხმევის გაუმჯობესებისა და ცვლილების განხორციელების შესაძლებლობათა გზების შემუშავება.

ინოვაცია
სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის გზით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, მომავალი კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრითა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების გაფართოებით.



პარტნიორები

WOSCAP-ის პროექტის კონსორციუმი აერთიანებს აკადემიურ წრეებსა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართულ პრაქტიკოსებს, რომლებიც პროექტისთვის არსებითი დოკუმენტების საფუძველზე მუშაობენ კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის პრობლემებზე ევროპასა და მის საზღვრებს მიღმა. კონსორციუმი აერთიანებს 10 ინსტიტუციურ პარტნიორს, მათ შორისაა ევროპის 5 აკადემიური ინსტიტუტი, 4 სამიზნე ქვეყნის (იემენი, მალი, საქართველო და უკრაინა) აკადემიური დაწესებულება და ორგანიზაცია "შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობა", რომელიც პროექტის კოორდინატორია და კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობით დაკავებულ პრაქტიკოსებს აერთიანებს. პროექტის მონაწილე პარტნიორთა ნაწილი, ამავე დროს, ევროპის მშვიდობის მშენებლობის სამოკავშირეო ქსელის (EPLO) წევრია. „შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის" ადგილობრივი წარმომადგენელი ორგანიზაციები კი აქტიურად უჭერენ მხარს პროექტს მშვიდობის მშენებლობის გამოცდილების მქონე პრაქტიკოსების უზრუნველყოფის მეშვეობით.

ორგანიზაცია	შეიცავს	ქვეყანა
შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობა (პროექტის კოორდინატორი)*	GPPAC	ჰოლანდია
უტრეხტის უნივერსიტეტი (სამეცნიერო კოორდინატორი)	UU	ჰოლანდია
ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა	LSE	დიდი ბრიტანეთი
მოლაპარაკებათა კვლევისა და განათლების ინსტიტუტი, ESSEC-ის საერთაშორისო ბიზნეს-სკოლა	IRENE	საფრანგეთი
ბერგჰოფის ფონდი	BF	გერმანია
ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტი	ECP	ესპანეთი
მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტი	IWP	უკრაინა
პოლიტიკური განვითარების ფორუმი	PDF	იემენი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თსუ	საქართველო
ბამაკოს უნივერსიტეტი	USJPB	მალი

*შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის (GPPAC) წევრები 4 შესასწავლ ქვეყანაში:
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
- მშვიდობის შენების დასავლეთ აფრიკის ქსელი
- შუა აღმოსავლეთის სწავლებათა ასოციაცია

მოსალოდნელი შედეგები:

ევროკავშირის მიერ კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობის სამოქალაქო შესაძლებლობების წარსული და მიმდინარე გამოცდილების შეფასება, რომელიც განმტკიცებული და მხარდაჭერილი იქნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და პრაქტიკოსთა თანამონაწილეობით; რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება პოლიტიკის პრიორიტეტებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით აამაღლებს სამოქალაქო ჩართულობის გზით კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობისკენ მიმართულ საქმიანობას. პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებული ჯგუფების გაფართოებული ჩართულობის და კვლევის შედეგების საერთშორისო გავრცელების სტრატეგია კონფლიქტის ადრეული გამოვლენისა და მშვიდობის მშენებლობისკენ მიმართული დღევანდელი სამხედრო და სამოქალაქო ძალისხმევის საუკეთესო დანამატი აღმოჩნდება.

რატომაა აუცილებელი WOSCAP-ის პროექტის განხორციელება?

საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის განხორციელების მიზნით დღეს არსებული აქტივობების ეფექტიანობა ორი უმთავრესი გამოწვევის წინაშე დგას. პირველი: ნაციონალური, რეგიონული და საერთაშორისო აქტორების მზარდი რაოდენობისა და მრავალფეროვნების პირობებში თავად სფერო აქტიურად განიცდის საერთო ძალისხმევისა და კოორდინაციის ნაკლებობას. მეორე: არსებობს იმის საჭიროება და აუცილებლობა, რომ ევროკავშირის ჩარევა იყოს ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისი. გრძელვადიანი ეფექტურობის მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და დაინტერესებული მხარეები ამ ჩარევის აუცილებლობის გაზიარების მაღალი ხარისხით და მათი, როგორც საკუთარის, გათავისების უნარითაც გამოირჩეოდნენ. ეს გამოწვევები დამახასიათებელია საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ნებისმიერი ხასიათის ჩართულობისთვის და არსებითია ევროკავშირის მსგავსი ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ეძებენ საკუთარი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

WOSCAP-ის პროექტი აქცენტს აკეთებს იმ პრაქტიკულ მიდგომებსა და საშუალებებზე, რაც ევროკავშირის შვიდობის მშენებლობაზე ორიენტირებულ ჩარევას გაცილებით მდგრადს და თანმიმდევრულს გახდის. აღნიშნული აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩართულობისა და თანამშრომლობის მოდელით მუშაობას, ამ პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენების ხელშეწყობას, კონფლიქტის ადრეული გამოვლენის მიზნით ადგილობრივი შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების საფუძველზე მათ აგებას და ამ მისწრაფებებში ევროკავშირისა და მისი პარტნიორების უნარების ზრდის მხარდაჭერას.

This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 653866

This document only reflects the views of the author(s), and the EU is not responsible for how the information may be used.

Partners:

GPPAC A Network of People Building Peace

Utrecht University

Berghof Foundation

ècp escola de cultura de pau

ESSEC BUSINESS SCHOOL

LSE The London School of Economics and Political Science

wip institute of world policy

Design: De Zaak P - dezaakp.nl